საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5325
16/09/2022

5325-21-2-202209161030

შპს „მიქსორს“
მის: ქ. თბილისი, გრ. ლორთქიფანიძის ქუჩა N23
ელ.ფოსტა: info@mixori.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3927 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ლორთქიფანიძის N23-ში არსებული საწარმოს ტერიტორიაზე, ენერგიის მიღების მიზნით (საოფისე ფართის გასათბობად) ნარჩენი საავტომობილო ზეთების მეორად გამოყენებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად „გამათბობელ დანადგარში საწვავის (ნამუშევარი ზეთი) მიწოდება მოხდება ტუმბოს საშუალებით, რომელიც აღჭურვილი იქნება მექანიკური ფილტრით. აღნიშნული ფილტრი უზრუნველყოფს საწვავის გაწმენდას მყარი მინარევებისგან, რაც ნამწვ აირებში მინიმუმამდე შეამცირებს მყარი ნაწილაკების ემისიებს“. სკრინინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული ფილტრის ეფექტურობის შესახებ.
- პროექტში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია საქმიანობის შედეგად და აღდგენის მიზნით საჭირო ნარჩენის კოდის, დასახელებისა და რაოდენობის შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად;
- საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისა და ზეთის რეზერვუარის დროებით დასაწყობების ობიექტი შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- მოცემული ინფორმაციის თანახმად კომპანიის საქმიანობისთვის საჭირო ნედლეულს წარმოადგენს 6 ტონა ნარჩენი (ზეთი) ხოლო დროებით დასაწყობების ობიექტის მოწყობა დაგეგმილია 1 ტონა რეზერვუარის სახით. შესაბამისად

პროექტში მოცემული უნდა იქნას ინფორმაცია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ზეთის 1 ტონაზე მეტის გადაჭარბების შემთხვევაში რა პირობებში მოხდება აღნიშნულის დასაწყობება;

- საქმიანობის განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ივნისის N325 „ტექნიკური რეგლამენტი - ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის N327 „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტი“ დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო